



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011758140715121

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

118541

19 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 129084/17; **თარიღი:** 18.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: შალვა კიტია (პირადი ნომერი 61003001316).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის გურიის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „გურიის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ № 882020531722-05 (26.02.2021 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ № 882020531722-05 (26.02.2021 წ.) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთის მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა გომისმთა, ბლოკი № 002, ნაკვეთი № 024.

№ 129084/17 (18.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის აკმაყოფილებს წარმოებაში მიღებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობებს და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

2021 წლის 10 თებერვალს მომზადებული სიტუაციური ნახაზის თანახმად, № 882020531722 (11.08.2020 წ.) და № 882020468233 (25.07.2020 წ.) (დაინტერესებული პირი: საბა ჩხარტიშვილი (პირადი ნომერი 33001080038)) განცხადებებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმული უნდა იქნეს საბა ჩხარტიშვილი (პირადი ნომერი 33001080038).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში შალვა კიტიას (პირადი ნომერი 61003001316) № 129084/17 (18.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 129084/17 (18.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს საბა ჩხარტიშვილი (პირადი ნომერი 33001080038);
3. ადმინისტრაციული საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს გურიის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს;
4. გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით გურიის რეგიონულ ოფისს დაევალოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** წერილობითი დასკვნისა და ყველა სარეგისტრაციო დოკუმენტის წარმოდგენა;
5. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან **10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში** წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2), ოზურგეთის იუსტიციის სახლში (მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, იოანე პეტრიწის ქუჩა № 9) და ქობულეთის საზოგადოებრივ ცენტრში საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



დავით დევძე